სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის პირველ მარტს მე, საქართველოს ნოტარიუსს თამილა გოგატიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე პეკინის გამზირი 8, II სართულზე, მომმართა მოქ. **იგორ ახობაძემ, როგორც შპს „მელომანი“-ს დირექტორმა** (საფუძველი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ს/ნ # 211324039), მან მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა და ქმედუნარიანობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მოქ. **იგორ ახობაძემ (დაბადებული 10.01.1941წელს, პირადი # 01026002251; მისამართი: ქალაქი თბილისი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, კორპუსი 28, ბინა 8)** მომმართა მე შევადგინე მინდობილობის ტექსტი, წავუკითხე მხარეს. მან მოიწონა მინდობილობის შინაარსი და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაერთი წლის პირველ მარტს მე, იგორ ახობაძემ, როგორც შპს „მელომანი“-ს დირექტორმა (საფუძველი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ს/ნ # 211324039), წინამდებარე მინდობილობით უფლებას ვანიჭებ ეკატერინე ხუციშვილს (დაბადებული 15.11.1973წელს, პირადი # 01024026565) მასზედ, რომ იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ნებისმიერი რაიონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ქ.თბილისის მერიის მუნიციპალიტეტში, საკრებულოში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქ.თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციაში, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურში და სხვა საქალაქო სამსახურებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, გამგეობაში, საკრებულოში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამეწარმეო რეესტრი, არქივი) ისტორიულ არქივში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საკუთრების აღიარების კომისიაში, მოახდინოს შპს „მელომანის“ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (სარდაფის) მდებარე: ქ. თბილისი, პეკინის ქ # 28, ს/კ # 01.10.14.030.011.06.500; საკუთრებაში დარეგისტრირება, ფართის კორექტირება, სტატუსის შეცვლა, ფართის დაზუსტება და შესაბამისად ახალი რეგისტრაცია, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინოს აზომვითი ნახაზი, პროექტის შედგენისას ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, მიმნდობის სახელით წარადგინოს განცხადებები, გადაიხადოს გადასახადები, მიიღოს/ჩაიბაროს დოკუმენტაცია, მონაწილეობა მიიიღოს აუქციონზე და შეისყიდოს ფართი, აიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გამოასწოროს ნებისმიერი სახის ხარვეზი, შესაბამისად მოახდინოს აქტებში ცვლილებები, მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია მოახდინოს ქონების ლეგალიზაცია, დაკანონება, გაერთიანება, აწარმოოს ყველა გარიგების გაანგარიშება, მოახდინოს უძრავი ქონების რეგისტრაცია, გადაიხადოს მოსაკრებლები და ნებისმიერი გადასახადები, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტებს/თანხმობას და განსაზღვროს იმ ხელშეკრულებებისა და შეთანხმების პირობები, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, ამ მინდობილობით მინიჭებული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 2011 წლის 29 დეკემბრის სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის 7-ე პუნქტის თანახმად: 11.80 ლარი დღგ-ს ჩათვლით და 2 ლარი სარეგისტრაციო მოსაკრებელი 39-ე მუხლის თანახმად.

ნოტარიუსი /თამილა გოგატიშვილი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

28882047323521

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210170961

რეგისტრაციის თარიღი

01.03.2021 წ

ნოტარიუსი: თამილა გოგატიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 8, II სართული
ტელეფონი: 599 33 55 77, 032 233 55 77

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18